პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№73 (6138) 13 1978 წ. აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კოსმოსური ეპოპეის გმირებს სსრ კავშირის ჯილდოები გადაეცათ

**11 აპრილს** კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის საპატიო ჯილდოები გადასცა კოსმოსში 96-დღიანი გმირული ეპოპეის მონაწილეებს.

ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედალი მიენიჭათ სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავებს „სალუტ-6" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის მონაწილეებს ი. ვ. რომანენკოს, გ. მ. გრეჩკოს, ვ. ა. ჯანიბეკოვს, ო. გ. მაკაროვს, ა. ა. გუბარევსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეს, მკვლევარ კოსმონავტს ვლადიმერ რემეკს.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## ხარისხობრივ მაჩვენებლებს — განსაკუთრებული ყურადღება

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს 1978 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შედეგები და მეორე კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულების ამოცანები.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზ. ა. ჩხეიძის მოხსენება.

პარტიული კომიტეტების მთელმა რიგმა მდივნებმა, საბჭოთა ორგანოების სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ახსნა-განმარტებანი ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში დაშვებული ჩამორჩენის გამო.

განხილულ საკითხზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

დასახულია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების შემდგომი დაჩქარების ღონისძიებანი.

## საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის გახსნის შესახებ

**საქართველოს** სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია გაიხსნება 1978 წლის 14 აპრილს 14 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 13 აპრილს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 6, № 11, ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

14 აპრილს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1978 წლის 14 აპრილს 13 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ

## მე, შენ, ის...

**როგორც** ვიტყობინებოდით, პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის დააწესა გარდამავალი პრიზი — „გუნდთან ერთად". საუკეთესო კოლექტივი (გუნდი — სტადიონი—მაყურებელი) ყოველ ტურში მიიღებს ქულებს. პრიზს დაიმსახურებს ის კოლექტივი, რომელიც სეზონში მეტ ქულას მოაგროვებს.

ჩემპიონატის პირველ მატჩს დნეპროპეტროვსკში 23 ათასი მაყურებელი დაესწრო (100 ქულა). სტადიონ „მეტეორის" მუშაკებმა მინდორი შესანიშნავად მოამზადეს, შექმნეს საზეიმო განწყობილება, ფეხბურთის მოყვარულებს მოუწოდეს „მეტეორზე" ჩატარებული ყოველი მატჩი ნათელ და შთამბეჭდავ ზეიმად გადააქციონ. მაყურებელთა უმრავლესობა ჩინებულად იქცეოდა, გულშემატკივართა მხოლოდ მცირე ჯგუფი ესროდა მსაჯებსა და მოთამაშეებს [illegible] გუნდებს. ფეხბურთის სამართველოს უფროსმა ვ. სოლოვიევმა გვაცნობა, რომ ყოველივე ეს აღნიშნულია მატჩის ოქმში. ამას გარდა გაფრთხილებული იქნა ვ. ქუცევი. ასე დააკლდა „დნეპრის" კოლექტივს 40 ქულა და ბოლო ადგილზე გავიდა. ჯარიმა მოელის მოსკოვის დინამოელებსაც. დოლმატოვის მიერ მიღებული გაფრთხილების გამო ისინი 24 აპრილს თავის მოედანზე ჩატარებულ პირველივე მატჩში დაკარგავენ 10 ქულას.

უფრო მეტ საჯარიმო ქულას მიიღებს „ზენიტის" კოლექტივი. 22 აპრილს „ფახთაქორთან" მატჩის წინ მათ ქულათა რაოდენობა 40-ით შეუმცირდებათ გოლუბევისა და ლოხოვის მიერ მიღებული გაფრთხილებისა და დამინის მინდვრიდან გაძევების გამო.

ქულები დააკლდათ, აგრეთვე, კიევის „დინამოს" (ბესონოვის გაფრთხილების გამო), „ქაირათს" (ბაიშაკოვი), „არარატს" (ოგანესიანი).

პირველ ტურში მაყურებელთა დასწრების მიხედვით ყველა კოლექტივმა 100-100 ქულა მოაგროვა. **ტურის საუკეთესო კოლექტივია — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები, სტადიონის მუშაკები და გულშემატკივრები. ფეხბურთელებმა აჩვენეს ტექნიკური, შედეგიანი და კორექტული თამაში; სტადიონის თანამშრომლებმა მატჩის საზეიმოდ ჩატარებაზე იზრუნეს; სათამაშო სიტუაციებში კარგად გარკვეული ხალხისთვის დამახასიათებელი ღირსებით იქცეოდნენ გულშემატკივრები, რომლებმაც გულითადი მასპინძლობა გამოიჩინეს. ამრიგად, თბილისელებს 105 ქულა აქვთ (50 ათასი მაყურებლისთვის მიღებულ 100 ქულას პლუს ყოველი ზედმეტი ათასისთვის მიღებული თითო ქულა).** „ჩერნომორეცს", „ნეფთჩის", „შახტიორსა" და „პახთაქორს" — 100-100. „არარატმა" და „ქაირათმა" მოაგროვეს მაყურებელთა რაოდენობის მიხედვით გათვალისწინებული ქულათა რიცხვი (20-დან 50 ათასამდე), მაგრამ ფეხბურთელების მიერ მიღებული გაფრთხილების გამო 90-90 ქულა დარჩათ, „დნეპრს" კი — 60.

„სოვეტსკი სპორტი", 12 აპრილი.

## გუშინ...

**ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და კიევის თანაკლუბელ კოლექტივებს შორის. შეხვედრა, რომელიც საინტერესოდ მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი კიეველთა კარში გაიტანა რ. შენგელიამ.**



## მეგობრობით ნაწრთობი გამარჯვება

სურათზე, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა **ე. ხუცურაულმა** გადაიღო, აღბეჭდილია თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის მრავალეროვანი კოლექტივის ფიზკულტურელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): **ი. ელიზაროვი, გ. დარჯანია, ლ. სემიონოვა და ზ. ჯოხაძე.** მათთან ერთად ფიზკულტურას, სპორტს და ტურიზმს ერთგულად მეგობრობენ სხვა ჩარხმშენებლებიც, რომელთა შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-2 გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის სტრიქონებს მიღმა

საქართველოს სსრ სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენების გამოყენების შესაძლებლობა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტიდან.

# მეგობრობით ნაწრთობი გამარჯვება



**შებინდდა.** კიკეთსა და კოჯორს შორის, ტყით შემოჯარულ ველზე ციცინათელებივით აციმციმდა ორმოცამდე კოცონი. ირგვლივ გამეფებული მყუდროება სიმღერებმაც დაარღვია...

ისინი საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურენი არიან, ბუნების წიაღში ისვენებენ, ძალას იკრებენ, რათა ორშაბათიდან უფრო მხნედ დაუბრუნდნენ თავიანთ დაზგებს, ჩარხებსა თუ საკონსტრუქტორო ბიუროებს, მანამდე კი ტურისტულ ესტაფეტაში, კარვების გაფორმებასა თუ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრება ელით.

დილით შეჯიბრებაც დაიწყო. ყველას თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტკლუბმა „გამარჯვებამ“ აჯობა. უნდა გენახათ, ტურისტულ ბილიკებზე როგორი თავგამოდებით იბრძოდნენ ჩარხმშენებლები, როგორი გულმოდგინებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. მონდომებამ ნაყოფიც გამოიღო.

როცა გამარჯვებულთა გუნდს გავეცანით, აღმოჩნდა, რომ უძლიერესი კოლექტივი ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანიც ყოფილა.

აი, ისინიც: ბერძენი ტ. მურადოვი, უკრაინელი ვ. სუხინენკო, რუსები ლ. სემიონოვა და ზ. დანილოვა, ქართველები ა. გოცირიძე და ტ. იანვარაშვილი. მათ ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი, ბერძენი ფ. კოლესიდი თავკაცობს.

ეს ტურისტული შეჯიბრება შარშან, სექტემბერში გაიმართა და „გამარჯვებამ“ მაშინ პირველად როდი იზეიმა გამარჯვება.

კიროველთა კოლექტივი პირველი იყო რესპუბლიკაში, რომელმაც სპორტკლუბის სახელი მოიპოვა. მას შემდეგ ბარე 18 წელი მიილია და ეს წლები, უფრო მეტწილად გამარჯვებათა წლები იყო.

სხვაგვარად არც შეიძლება, სახელს გამართლება უნდა. სახელისთვის კი ქარხნის თითქმის 3000-ანი კოლექტივი იბრძვის, იბრძვის მონდომებით, თავდაუზოგავად, მათთვის არც გარდამავალი წითელი დროშაა უცხო და არც უცხოელებისთვისაა უცნობი კიროველთა ჩარხები. ჩარხმშენებელთა პროდუქცია მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში იგზავნება. ეს გამაყებათ ქართველებს, რუსებს, ოსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, მოლდაველებს, ბელორუსიელებს, ბერძნებს... სულ 17 ეროვნების ხალხს. ისინი ქარხანაში ერთად მუშაობენ, ერთად ისვენებენ და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ყველანი ერთად კი ვიეტნამელ ახალგაზრდებს ასწავლიან ჩარხმშენებლის პროფესიას.

მაგრამ, მოდით, ისევ ჩარხმშენებელთა სპორტულ მიღწევებს დავუბრუნდეთ. შარშანდელი სეზონი გავიხსენოთ. მანქანათმშენებელთა პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე კიროველებს ბადალი არ ჰყავდათ ცურვაში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. სპარტაკიადაზე ამდენი გამარჯვება არც ერთ გუნდს არ მოუპოვებია. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაზე კი თბილისელი ჩარხმშენებელი ფიზკულტურელები ქუთაისელ ავტომშენებლებთან გაერთიანდნენ და კომპლექსურ ჩათვლაში III ადგილი მოიპოვეს, კიდევ ბევრი მიღწევის გახსენება შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს.

ვინ სჭედდა თბილისელ ჩარხმშენებელთა გამარჯვებებს?

ესენი არიან: ა. შავიშვილი, ი. სიდამონიძე, თ. მურაჩაშვილი, ბ. კაზეიშვილი, ლ. მურადიანი, რ. ბაბახანოვი, ს. სერიოჟინი, შ. ლაბიგინი, დ. ალექსეენკო, ვ. სუხინენკო, ი. ელიზაროვი და მრავალი სხვა. ისინი ერთ მუშტად შეკრულნი იბრძვიან გამარჯვებისთვის როგორც სპორტულ სარბიელზე, ისე დაზგებთან, ჩარხებთან, საკონსტრუქტორო ბიუროებში... მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი შრომისთვის, აქტიური დასვენებისთვის. ქარხნის საცურაო აუზში, ძალოსნობის დარბაზში, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა თუ ფეხბურთის მოედანზე ხშირად ნახავთ ჩარხმშენებლებს შესვენებისას, მუშაობის შემდეგ...

ქარხნის სპორტულ მოედნებზე ხშირად ნახავთ ჩარხმშენებელთა შვილებსაც. ქარხნის დირექცია (გენერალური დირექტორი დ. კიკნაძე) რომ თავისი თანამშრომლების კეთილდღეობისთვის ზრუნავს, ამას კიდევ ერთი ფაქტიც ადასტურებს: ჩარხმშენებლებისთვის განზრახულია აშენდეს სპორტდარბაზი, რომლის ზომა 30×30 მეტრი იქნება.

იმედია, ჩარხმშენებელთა მრავალეროვანი, მეგობრული კოლექტივი კვლავაც გაამართლებს თავისი სპორტკლუბის სახელს — „გამარჯვებას“.

**ა. რაჭველიშვილი.**

* * *

**სურათზე:** ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის წარმომადგენლები (მარცხნიდან): ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ფ. კოლესიდი, ტ. მურადოვი, ლ. სემიონოვა, ვ. სუხინენკო, ა. გოცირიძე, ზ. დანილოვა და ტ. იანვარიშვილი, რომლებმაც შარშანდელ ტურისტულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

ავტორის ფოტო.

## სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

# ქსნის ხეობაში, გაზაფხულზე

● ციხე-დარბაზიდან — სტადიონზე ● თხილის მშვილდებით — ოსტატობის კანდიდატები ● ენთუზიასტები მეტ ყურადღებას იმსახურებენ ● „მწყემსის დღე“ — სპორტული დღესასწაული ● დანაპირებს შესრულება უნდა ● თუ კომკავშირელებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან.. ● სტადიონისთვის ადგილი გამოყოფილია ● ლენინგორელი ახალგაზრდების ღვიძლი საქმე.

**გაზაფხული** ნელა, შეუმჩნევლად შემოდის ხეობაში. დაფლეთილი ღრუბლებიდან მხიარულად იცქირება მზე და ალმასივით ბრწყინავენ ხის დაბერილ კვირტებზე დაკიდებული წვეთები. ჰაერში წვიმის წყლით გაჟღენთილი მიწისა და ახლად ამოწვერილი ბალახის სურნელი ტრიალებს. გულჯავრიანად მოქშუის ამღვრეული მდინარე. მაღლა, ტყიანი ფერდობების ძირშილა შერჩენილა ჭუჭყიანი, განაცრისფერებული თოვლი.

საამური სანახავია ქსნის ხეობა გაზაფხულზე — მდინარის ორთავ მხარეს, გორმახებზე შეფენილან კოპწია სოფლები. დაბლა, მზის გულზე ბაღები და ვენახები იშმუშნებიან. აქა-იქ თეთრად გადაპენტილა ხეხილი, ზვრებში საქმიანად დაფუსფუსებენ ადამიანები — იხვნება ვაზი, იბარება მიწა...

ლენინგორის შესასვლელში ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზი შემოგვეგებება. ეს უძველესი კომპლექსი, რომლის ქვიტკირის გალავნის ნანგრევები მაღლა, ფერდობიდან იწყება და თითქმის მდინარემდე აღწევს, საოცრად ერწყმის ქალაქური ტიპის შენობებსა და მოასფალტებულ ქუჩებს. ერთ-ერთი რესტავრირებული ქონგურის თაღოვანი შესასვლელიდან კი პირდაპირ სტადიონზე მოხვდებით...

მინდორზე ბალახი ბიბინებს, ადგილიც ხელისგულივითაა მოსწორებული, მაგრამ იქაურობას სტადიონი მაინც ვერ ეთქმის — ფეხბურთის კარის მიბრეცილ-მობრეცილი ძელები საცოდავად გადამერთილან, ირგვლივ ტრიბუნების ნასახიც არსადაა. მინდვრის ბოლოში, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ალვის ხეებთან, ფიცრებისაგან შეჯლანული და დაჩეჩქვილი ფარი აყუდია, თურმე იმ ფარზე ვარჯიშობენ ადგილობრივი მშვილდოსნები...

რაიონის მშვილდოსანთა გუნდი 27 კაცს აერთიანებს, აქედან 4 ოსტატობის კანდიდატია და 10 — პირველთანრიგოსანი. ისინი რესპუბლიკის პირველობაზე სამხრეთ ოსეთის სპორტულ ღირსებას იცავენ და, უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც, თუმცა ბაზებისა და სპორტული ინვენტარის უქონლობის გამო რეგულარული ვარჯიშის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. უნებურად იბადება კითხვა — მაშ რაღა განაპირობებს ლენინგორელ მშვილდოსანთა მიღწევებს, მათ ხომ შარშან გამართულ „კოლმეურნეს“ ცენტრალურ საბჭოს პირველობაზე II საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

**ზურაბ მღებრიშვილი** (გუნდის მწვრთნელი, „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარე): ვარჯიში პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ დავიწყეთ, მშვილდები არ გვყოფნიდა და ამიტომ მათ ძველი, მამაპაპური წესით თხილის ტოტებისაგან ვამზადებდით. სწორედ ასეთი „კუსტარული“ ინვენტარით შევუდექით წვრთნას. მშვილდოსნობამ ძალზე გაიტაცა ქსნისხეობელი ახალგაზრდები და მონდომებულმა ვარჯიშმა ნაყოფიც მალე გამოიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო მონდომება საქმეს ვეღარა შველის — დარბაზის უქონლობის გამო თითქმის არავითარი პირობები არ გაგვაჩნია ზამთარში სავარჯიშოდ, ზამთარი კი ჩვენს ხეობაში გრძელი და უხვთოვლიანი იცის. არა გვაქვს ფარები, მშვილდები, სპორტული ფორმა, გასახდელებსა და საშხაპეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

ზურაბ მღებრიშვილი ჭარმაგი კაცია, მაგრამ მონდომებითა და ენერგიით ბევრ ახალგაზრდას როდი ჩამოუვარდება: თუნდაც ის ფაქტი, რომ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა შარშან, სამოცდაშვიდი წლის ასაკში შეასრულა, ზემონათქვამის კარგი დადასტურებაა. ასეთ ენთუზიასტებს კი დახმარება და ყურადღება არ უნდა მოაკლდეთ.

რაიონში კარგა ხანია დამკვიდრდა და უკვე ტრადიციად იქცა „მწყემსის დღე“, რომელიც ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან ლენინგორელთა ცხვარ-მეცხვარის მშობლიურ ხეობაში დაბრუნებას ეძღვნება.

მაისში, როცა იქაურობა 80 ათასი ცხვრისა და ბატკნის ყურისწამღები ბღავილით ივსება, როცა მშობლიურ კერასა და ცოლ-შვილს დანატრებული მწყემსები გულაჩქროლებულნი შემოაბიჯებენ დაბაში, ლენინგორში დიდი სპორტული სანახაობები ეწყობა — იმართება ჯირითი, ჭიდაობა, მშვილდოსნობა, სიმძიმეების აწევა. დევერხანა კაკლებით ჩამობურულ პარკში უამრავი ხალხი იყრის თავს, ისმის ზურნის ჭიჭყინი, დოლის ბაგაბუგი, ნახერხმოყრილ წრეში ქსნისხეობელი ფალავნები გამოდიან...

**სურენ ჩიგოევი** (რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში): ჭიდაობა მარტო „მწყემსის დღეს“ როდი იმართება, დაწესებული გვაქვს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, წარსულში ცნობილი ფალავნის ხარიტონ კორაევის სახელობის თასი, რომლის მოსაპოვებლადაც ყოველწლიურად ეწყობა შეჯიბრებები. ამას გარდა, ზაფხულობით, ყოველ კვირა დღეს იმართება ქართული ჭიდაობა და ამ ასპარეზობებს უამრავი ხალხი ესწრება.

სამწუხაროდ, ნაკლიც ბევრი გვაქვს.

რაიონის მოჭიდავეებს არა აქვთ დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ინტენსიური ვარჯიშისა და შეჯიბრებების ჩატარება. ამ რამდენიმე წლის წინათ ლენინგორში კულტურის ახალი სახლი აშენდა, ძველი კინოდარბაზი კი სპორტსმენებს გადმოგვცეს, მაგრამ ჩვენი სიხარული ნაადრევი გამოდგა, რადგან შენობაში ჯერ ფეხიც არ შეგვედგა — იგი თბილისის II სამკერვალო ფაბრიკის ფილიალს გადაულოცეს და დაგვამშვიდეს ცოტა ხანს მოითმინეთ, სამკერვალო საამქროს ახალ შენობას ავუშენებთ და დარბაზს ისევ თქვენ დაგიბრუნებთო. მშენებლობა მართლაც დაიწყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ სწრაფადაც დასრულდა. საამქრო ახალ შენობაში გადავიდა, ჩვენგან ნათხოვარ დარბაზს კი უზარმაზარი ბოქლომი დაადეს.

რა დასამალია და არც სპორტული ინვენტარით ვართ განებივრებული — ჯერ კიდევ ვერ მოვაგვარეთ საჭიდაო ჩოხების საქმე...

კომკავშირის რაიონულ კომიტეტში სტადიონის რეკონსტრუქციის გეგმა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა გვაჩვენეს. შესასრულებელი სამუშაოები საკმაოდ სოლიდურ თანხადაა შეფასებული, მაგრამ ცხადია, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ რაიონის ახალგაზრდობას შესანიშნავი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერა ექნება. იმედია, ლენინგორელი კომკავშირელები ჩვეული ენთუზიაზმით ამოუდგებიან მხარში მშენებლებს და თავიანთ წვლილსაც შეიტანენ ამ კეთილშობილურ საქმეში, თუმცა მშენებლობის დაწყებამდე ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლების გადალახვაა საჭირო.

**ქრისტეფორე ბედოევი** (ლენინგორის სახალხო დეპუტატთა საბჭოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე): ამას წინათ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეგვპირდნენ — რომელიმე სამშენებლო ორგანიზაციასთან შუამდგომლობას გაგიწევთო და თუ კი ეს მოხერხდა, რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხის გამოყოფას აღარ დავაყოვნებთ.

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს რედაქციაში შემოსული წერილი ვაჩვენეთ, რომელშიც წინაგრელი ახალგაზრდები გვწერდნენ: „ძვირფასო რედაქციავ, ჩვენს სოფელში სპორტული ცხოვრება ჩამკვდარია... დახმარებისთვის არაერთხელ მივმართეთ რაიონის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამაოდ, სპორტი კი ყველას გვინდა“.

**ქ. ბედოევი:** წინაგარში ფეხბურთის მინდორი არა ჰქონდათ და ახალგაზრდების გულისტკივილი სამართლიანად მიმაჩნია, მაგრამ სულ ახლახანს (22 მარტს) სოფელთან ახლოს უკვე გამოვყავით სტადიონის მოსაწყობად საჭირო ადგილი, რომელიც ჰექტარნახევარს მოიცავს.

**ს. ჩიგოევი:** სხვათა შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ გუცაევი წარმოშობით წინაგრიდანაა და იქაურ ახალგაზრდებს ალბათ ამიტომაც უყვართ აგრერიგად ფეხბურთი...

* * *

მცირე მოცულობის საგაზეთო წერილში ძნელია რაიონის სპორტსმენთა ცხოვრების ძირი-ძირობიანად მიმოხილვა, მათი ყველა წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზთა ჩხრეკვა, მაგრამ ერთი ცხადია, ლენინგორის სტადიონის რეკონსტრუქცია მხოლოდ ქაღალდზე რომ არ დარჩეს (სხვათა შორის, ხარჯთაღრიცხვისა და მუშა ნახაზების შედგენა 4800 მანეთი დაჯდა), საჭიროა შესაბამისი ორგანიზაციები და ცალკეული ხელმძღვანელი პირები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საქმეს. თავიანთი სიტყვა უნდა თქვან რაიონის ახალგაზრდებმაც — კეთილმოწყობილი სტადიონი ხომ სწორედ მათი ჯანმრთელობისა და სპორტული დაოსტატებისთვის იქნება განკუთვნილი.

**ნ. შატაიძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ლენინგორი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეორე ლიგა

**11 აპრილს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:0

დაახლოებით 15 წუთი მეტოქეებმა ურთიერთის დაზვერვას მოანდომეს, მერე ლოკომოტიველებმა მოუმატეს ტემპს, რასაც მალე წარმატებაც მოჰყვა: მე-19 წუთზე ვოლკოვ-ბახტაძის კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი პირისპირ გავიდა მეკარესთან და ამ მომენტში მცველმა გარპენკომ ხელით შეაჩერა ბურთი. პენალტი ზუსტად გამოიყენა ქორიძემ.

მონდომება არ აკლდა არც ერთ მხარეს, ხოლო შესვენების შემდეგ ბრძოლას კიდევ უფრო დაძაბული ხასიათი მიეცა. 65-ე წუთზე „ზენიტის“ კარში დაინიშნა საჯარიმო, ჩახუნაშვილმა კარგად შეამჩნია „ბზარი“ იჟევსკელთა მიერ აღმართულ კედელში და ბურთი ზუსტად გაგზავნა იმ მიმართულებით — 2:0.

ეს წარმატება „ლოკომოტივმა“ ბოლომდე შეინარჩუნა.

ა. სირაძე.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 1:1

ზუგდიდელებმა აგრესიულად, ტემპიანად დაიწყეს თამაში, ათიოდე წუთის შემდეგ გუნიას მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მერე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა ნაჭყებიამ. დინამოელები დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში უტევდნენ, შემდეგ „ურალეცმა“ განახორციელა სახიფათო კონტრიერიში, როდესაც მეკარე კვარაცხელიას მოუხდა ისაკოვის ძლიერი დარტყმის მოგერიება. ტაიმს შედეგი არ მოუტანია.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ერთხანს სტუმრები ფლობდნენ, მერე კი უპირატესობამ მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა. ერთ-ერთ მომენტში „ურალეცის“ მეკარე ბაბაიცევმა იხსნა კარი წულაიას დარტყმისაგან, მაგრამ მე-60 წუთზე იძულებული იყო ბადიდან გამოეტანა ბურთი: ნაჭყებიასა და გუნიას შორის გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 1:0.

შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სტუმრების ერთ-ერთი საპასუხო იერიში გოლით დაასრულა მეგრიტოვმა — 1:1.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დანიშნული პრიზები გადაეცათ ზუგდიდელ ნაჭყებიას და ნიჟნიტაგილელ კუტაშოვს.

ზ. ალშიბაია.

### „დილა“ (გორი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1

პერმელმა ფეხბურთელებმა კარგად დაიწყეს თამაში, სულ მალე მეკარე ბერიძის პირისპირ გავიდა ზელიონკინი. ფორვარდმა გადამწყვეტ ვითარებაში იჩქარა და ააცილა კარს ბურთი. რამდენიმე წუთის შემდეგ ანალოგიური სიტუაცია გამეორდა „ზვეზდის“ კართან და იქაც დაიკარგა გოლის გატანის შესაძლებლობა.

ასეთი მომენტები მრავლად იქმნებოდა მთელი ტაიმის მანძილზე, თუმცა არც ერთ მათგანს შედეგი არ მოჰყოლია, ამასთან აღსანიშნავია მეკარეების კარგი თამაში.

მიმდინარეობდა მატჩის 51-ე წუთი, როცა „დილის“ მცველთა შორის თავი იჩინა დაბნეულობამ, რაც კარგად გამოიყენა ვორონცოვმა და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარის დაბალ კუთხეში — 1:0.

„დილა“ იძულებული გახდა მთელი ძალით გადასულიყო შეტევაზე. 64-ე წუთზე მელაძემ გარღვევაზე გაიყვანა მამესწარაშვილი, რომელმაც შეძლო მეტოქის კარის აღება — 1:1.

ამის შემდეგ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია ბერიძემ. 68-ე წუთზე სტუმრებმა საჯარიმო მოედანზე აშკარად დაარღვიეს წესი, მაგრამ როსტოველმა არბიტრმა ტიმოშენკომ რატომღაც უმჯობესად სცნო თავი შეეკავებინა, მატჩის დამთავრებამდე კი მან თავის ამ შეცდომას კიდევ რამდენიმე ლაფსუსი დაუმატა. ტიმოშენკოს და მის დამხმარე მსაჯს ივანოვს (მოსკოვი) გამსინჯავმა კომისიამ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა.

ი. თევდორაშვილი.

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:1

ნაწვიმარ მინდორზე დაძაბული ბრძოლა არ შეწყდარა მთელი ტაიმის მანძილზე, მაგრამ მოპირდაპირე მხარეებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და სტუმრების ერთ-ერთი იერიში წარმატებით დამთავრდა. სულ მცირე ხანში ლანჩხუთელებმა საპასუხო შეტევა განავითარეს, „რუბინის“ საჯარიმო მოედანზე მცველებმა დაარღვიეს წესი, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა პენალტი. ნემსაძემ 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა — 1:1. შემდეგ ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა.

ს. ჟორდანია.

## სსრ კავშირის პირველობა

### „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (კიროვი) 2:0

ბათუმის დინამოელებმა მესამე მატჩი ჩაატარეს საკუთარ სტადიონზე და ყველა სველ მინდორზე. ამჯერადაც, კიროველ თანაკლუბელებთან მათი შეხვედრა მძიმე გრუნტზე მიმდინარეობდა. მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს მეტოქის კარს, უკვე მე-4 წუთზე შელიამ მოულოდნელად დაარტყა შორიდან, კიროველთა მეკარე ვოსტრიკოვმა ვერ შეძლო ბურთის შეჩერება, მას მიუსწრო ბეჟანიძემ და გახსნა ანგარიში — 1:0.

ამის შემდეგ ბათუმელებმა თამაშის სადავეები მტკიცედ დაიპყრეს ხელთ და მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან რამდენიმე სახიფათო კომბინაცია გაითამაშეს. 36-ე წუთზე გორგილაძე-ბეჟანიძის სწრაფ შეტევაში კარგად ჩაერთო შელია და ზუსტი დასკვნითი დარტყმით მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე — 2:0.

მასპინძლებს შეხვედრის მეორე ნახევრის მანძილზე არ დაუთმიათ სათამაშო ინიციატივა. გორგილაძეს, ბეჟანიძეს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ საბოლოო დარტყმები, სამწუხაროდ, უზუსტო გამოდგა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

ო. მურვანიძე.

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დინამო“ (სოხუმი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 2:3, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „გასტელლო“ (უფა) 2:0, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბაქო) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:0.

## ფეხბურთი

### მოკლედ

**კიდევ** ერთი დანიელი ფეხბურთელი, „ვეილეს“ 19 წლის თავდამსხმელი ს. ტიკოსენი ითამაშებს დასავლეთ გერმანიის „ბორუსიაში“. ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავი გამოიჩინა დანიის ჩემპიონატში, მონაწილეობდა ეროვნულ ნაკრებშიც. უცხოელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ იგი ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს „ბორუსიაში“ მოთამაშე თავის თანამემამულეებს — სიმონსენს და ნილსენს.

**წლეულს** პირველად გათამაშდება აფრიკა-აზიის თასი ფეხბურთში. ფინალური მატჩი გაიმართება 19 მაისს თეირანში. შეხვდებიან ამ ორი კონტინენტის ჩემპიონები — ირანისა და განის ნაკრები გუნდები.

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ გამოაქვეყნა დამატებითი სია არბიტრებისა, რომლებიც მოემსახურებიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებს. ესენია: დელკური (ბელგია), კიტაბჯანი (საფრანგეთი), ალდინგერი (გდრ), მიქელოტი (იტალია) და ვერერი (ავსტრია).

**ბაზელი.** ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელებმა უკვე მე-4 წუთზე გაიტანეს ბურთი მასპინძლების — შვეიცარიელების კარში. იარას მიერ გატანილმა გოლმა ავსტრიელებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### უნგრეთი

გრძელდება მძაფრი ბრძოლა პირველი ადგილისთვის ბუდაპეშტის გუნდებს „ჰონვედსა“ და „დოჟა-უიპეშტს“ შორის, ხოლო საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან მტკ (ბუდაპეშტი), „ვიდეოტონი“ (შეკეშფეჰერვარი) და შარშანდელი ჩემპიონი „ვაშაში“ (ბუდაპეშტი).

29-ე ტურში ორივე ლიდერმა წინ წაიწია. „ჰონვედმა“ საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 სძლია მავ-ს (შეკეშფეჰერვარი) და 43 ქულა მოაგროვა. 1 ქულით ნაკლები ჰქონდა „დოჟა-უიპეშტს“, რომელმაც ასევე ბუდაპეშტში ანგარიშით 3:1 სძლია „ბანიაშს“ (ტატაბანია).

30-ე ტურში „დოჟა-უიპეშტი“ დაეწია მეტოქეს — 2:0 „დუნაივაროშთან“, ხოლო „ჰონვედმა“ გასვლით მატჩში „ბანიაშთან“ ქულა დაკარგა — 1:1.

ამრიგად, ახლა „დოჟა-უიპეშტსა“ და „ჰონვედს“ 44-44 ქულა აქვთ, მტკ-მ 42 ქულა მოაგროვა.

### ბულგარეთი

29 ქულით ლიდერობს სოფიის „ლოკომოტივი“. განვლილ ტურში იგი საკუთარ მინდორზე შეხვდა „მარეკს“ (სტანკე დიმიტროვი) და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 3:0. „ლოკომოტივის“ უახლოესმა მდევარმა, ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ გაიმარჯვა სტარა ზაგორაში „ბეროესთან“ — 1:0 და ახლა 27 ქულა აქვს. 24-24 ქულა დააგროვეს შარშანდელმა ჩემპიონმა „ლევსკი-სპარტაკმა“ (სოფია) და პლოვდივის „თრაკიამ“.

### რუმინეთი

23 ტურის შემდეგ შეიქმნა იშვიათი სიტუაცია, როდესაც 18 გუნდიდან 13 სულ რაღაც 4 ქულის ინტერვალით განლაგდა სატურნირო ცხრილში. პირველ ადგილზე მყოფ „პოლიტეხნიკას“ (ტიმიშოარა) 27 ქულა აქვს, მე-13 ადგილზე მყოფ „სკ ბაკაუს“ კი 23.

შარშანდელმა ჩემპიონმა „დინამომ“ (ბუქარესტი) პირველ წრეში უფერული თამაშის შემდეგ მდგომარეობა საკმაოდ გამოასწორა და ახლა ლიდერს სულ 3 ქულით ჩამორჩება.

### პოლონეთი

ნათამაშევია 25 ტური. პირველი ადგილისთვის ძირითადად იბრძვიან კრაკოვის „ვისლა“, შარშანდელი ჩემპიონი „შლიონსკი“ და პოზნანის „ლეხი“.

25-ე ტურში „ვისლა“ თამაშობდა ლოძში ადგილობრივ ლკს-თან. ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ამ ფრეს შემდეგ „ვისლამ“ 33 ქულა მოაგროვა და 2 ქულით უსწრებს „შლიონსკისა“ (მან მოიგო ვარშავის „ლეგიასთან“ — 1:0) და „ლეხს“ (მან ფრედ ითამაშა ლოძის „ვიძევთან“ — 0:0).

### იუგოსლავია

იუგოსლავიის ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, მაგრამ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ჩემპიონობა ბელგრადის ორი გუნდიდან ერთს უნდა დარჩეს: „პარტიზანს“ ან „ცრვენა ზვეზდას“.

22-ე ტურში „პარტიზანმა“ მიიღო „რიეკა“ და გაიმარჯვა — 3:1. „ცრვენა ზვეზდამ“ მოუგო ოფკ-ს (ბელგრადი) 2:0. ახლა „პარტიზანს“ 36 ქულა აქვს, „ცრვენა ზვეზდას“ — 32, III ადგილზე მყოფ სპლიტის „ჰაიდუკს“ — 28.

# წინააღმდეგობათა ლაბირინთებში

**ზაფხულის** XXIII ოლიმპიადის ადგილსამყოფელს გაარკვევს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სესია, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გაიმართება. ჯერჯერობით არის მხოლოდ ერთი კანდიდატი — ლოს-ანჯელესი. თუმცა იმასაც ფიქრობენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ სამხრეთ კალიფორნიის ამ უდიდეს ადმინისტრაციულ და სამრეწველო ცენტრს სესიის პერიოდში კონკურენციას გაუწევს სხვა ქალაქებიც. ათენის სესიის მთავარი მიზანია 1984 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორი ქალაქის შერჩევა. რაც შეეხება თამაშების პროგრამას, იგი შემუშავდება და დაზუსტდება უფრო მოგვიანებით, დაახლოებით 1981 წელს.

და მაინც, ლოს-ანჯელესის კანდიდატურას იმედის თვალით შესცქერის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (იტფ) და მისი რამდენიმე ხელმძღვანელი, პირველ ყოვლისა კი პრეზიდენტი ფილიპ შატრიე, რომელსაც ამ მაღალი თანამდებობის გარდა საფრანგეთის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პოსტიც უკავია.

რას ეყრდნობა შატრიეს იმედები? რატომ ელოდება იგი ასე მოუთმენლად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სესიას?

აქ არაფერია საიდუმლო და გაუგებარი. პრეზიდენტი არც მალავს თავის განზრახვას — ადრე თუ გვიან ჩოგბურთი ოლიმპიური დისციპლინა გახადოს. XXIII ოლიმპიადამდე ამ ჩანაფიქრის განხორციელება შეუძლებელია, ვინაიდან მოსკოვის ოლიმპიური თამაშების პროგრამა უკვე კარგა ხანია დამტკიცდა. ე. ი. ყველაზე რეალური თარიღია 1984 წელი და შატრიემაც მიზანში ამოიღო იგი.

აქვს კი პრეზიდენტის განზრახვას რეალური საფუძველი? როგორც ჩანს, აქვს და აი რატომ: ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემების თანახმად მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ადამიანი თამაშობს. მაგრამ სპორტის ეს სახეობა სხვა ნიშნებითაც უპასუხებს ოლიმპიურ მოთხოვნებს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ 26 „წმინდა ოლიმპიური“ დისციპლინის გვერდით ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი მიჩნეულია სპორტის იმ სახეობებად, რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად მიიღო და აღიარა. მაშასადამე, ჩოგბურთის სტატუსი მთლიანად შეესატყვისება ოლიმპიურ წესდებას. ამიტომ იგი უმტკივნეულოდ შეიძლება შეტანილ იქნას თამაშების პროგრამაში.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ დაიწყეს ასე ენერგიულად კონტაქტების ძებნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან ფილიპ შატრიემ და საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ გრეიმ (დიდი ბრიტანეთი). მართალია, კონკრეტული ნაყოფი ამ კონტაქტებს ჯერ არ გამოუღია, მაგრამ არც ოფიციალური უარი მოსულა სოკ-იდან. პირიქით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კულუარებში ხმა დაირხა, რომ ჩოგბურთს დიდი შანსები აქვს მოხვდეს 1988 წლის ოლიმპიურ პროგრამაში. ამ ცნობას გენერალური მდივნის უკმაყოფილო კომენტარი მოჰყვა. „ათი წელი, — განაცხადა დევიდ გრეიმ, — საკმაოდ დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს სპორტში ბევრი რამ შეიცვლება. ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია იმედს არ ჰკარგავს, რომ ჩოგბურთის აღიარება მოხდება უფრო ადრე“.

პრესა ამ საკითხში გაცილებით უფრო მეტ სიფხიზლეს იჩენს, ვიდრე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა. მიმომხილველები, მაგალითად, თვლიან, რომ არსებობს ერთადერთი რეალური შანსი სპორტის ამ სახეობის მხარდასაჭერად. ფედერაციამ უნდა დაარწმუნოს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ორგანიზატორები, რათა ჩოგბურთი რეგიონალურ სპორტად იქნას მიღებული. ამის უფლება კი მას აქვს. სწორედ ასე მოხდა ოლიმპიურ ოჯახში ძიუდო ტოკიოს ოლიმპიადის წინ.

ჩოგბურთი, როგორც რეგიონალური სპორტი, სავსებით შეესატყვისება სამხრეთ კალიფორნიის პირობებს, სადაც მას მილიონამდე მოყვარული ჰყავს. ამას გარდა, ჩოგბურთი პოპულარულია ამერიკის სხვა შტატებშიც. მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ ამერიკის ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალურად დაუჭერს მხარს ჩოგბურთს სოკ-ის ათენის სესიაზე? ეს არავინ იცის.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ცდილობს შეამზადოს ნიადაგი მომავალი ბრძოლებისთვის.

ერთი პრაქტიკული ნაბიჯი მან უკვე გადადგა, კერძოდ, გადაწყვიტა 1978 წლიდან ჩვენი პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებს მიანიჭოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (ცალკე ვაჟებში და ცალკე ქალებში). მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს, როცა შესაბამისი მნიშვნელობის ტურნირი არ ტარდება და ალბათ ვერც ჩატარდება?

კრიტერიუმად მიღებული იქნება ის წარმატებები, რომლებსაც ჩოგბურთელები მიაღწევენ „დიდი მუზარადის“ შეჯიბრებებში (უიმბლდონის, აშშ-ის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები). ამ მიზნით საერთაშორისო ფედერაციამ შექმნა ორი ჟიური, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მიაკუთვნებენ ღირსეულ კანდიდატებს. ვაჟთა ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ წარსულში ცნობილი ჩოგბურთელები. დონალდ ბაჯი (აშშ) — „დიდი მუზარადის“ 1938 წლის მფლობელი, ინგლისელი ფრედ პერი — უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი და ავსტრალიელი ლუის ჰოადი, რომელმაც 1956 წელს „დიდი მუზარადის“ ოთხი ტურნირიდან სამი მოიგო. ქალთა ჟიურის შემადგენლობაშია ავსტრალიელი მარგარეტ კორტი, ამერიკელი მარგარეტ დიუპონი და ინგლისელი ენ ჯონსი. ორივე ჟიურის თავმჯდომარედ დანიშნულია ფილიპ შატრიე. ვაჟთა შორის ჩემპიონის გამოვლენის დროს მხედველობაში მიღებულია დევისის თასის შედეგებიც, ქალებში კი — „ფედერაციის თასის“ მაჩვენებლები.

## ჩოგბურთი

ამ ერთი შეხედვით უბრალო პროექტს, მოულოდნელად ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათ შორის პირველი აღმოჩნდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ბობ ბრაინერი. ამ ცოტა ხნის წინ მან კატეგორიულად განაცხადა: „მსოფლიოს ოფიციალური ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს კორტზე და არა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დანიშნული რომელიმე კომიტეტის სანქციით“.

კიდევ უფრო კატეგორიულია თავის განცხადებაში იმავე ასოციაციის წევრი ნეირონ ვუდი. „ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ჟიურის წევრები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ისინი შესანიშნავი ადამიანები არიან, მაგრამ იმდენად შორს დგანან საჩოგბურთო სცენისგან, რომ რაიმე სალ აზრზე ლაპარაკიც ზედმეტია“. — ასეთია ვუდის განაჩენი.

როგორც ხედავთ, ერთიანი აზრი ჩოგბურთის მომავალზე ჯერ თვით სპეციალისტებშიც არ არის შექმნილი. ამას უსათუოდ მიაქცევს ყურადღებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ეს კარგად იციან ფედერაციის ხელმძღვანელებმა და ცდილობენ ერთიანი პოზიცია გამოიმუშაონ. პირველი ასეთი ნაბიჯი, სამწუხაროდ, კრახით დამთავრდა. ახლა ფედერაცია გამოსავალს ეძებს შექმნილი მდგომარეობიდან. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სესია კი უკვე კარსაა მომდგარი.

ნ. გუგუშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარლენ პაპავას გამარჯვება

**ბერლინში** დამთავრდა გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის დინამოელთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა ტყვიის სროლაში. თავი ისახელა სოხუმელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მ. პაპავამ, რომელმაც ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტის მრგვალ სამიზნეებზე 50 მეტრიდან სროლაში 569 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა.

იუნიორთა შორის კარგად გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი მ. კოკორევი, რომელმაც ამავე ვარჯიშში თანატოლთა შორის II ადგილი დაიკავა — 535 ქულა.

**რ. კაცობაშვილი.**

# ისევ ფავორიტების გარეშე

შეანასპნელ ხანს, ჩვენს დედაქალაქში რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება გაიმართა მხატვრულ ტანვარჯიშში, მაგრამ ყველა შეჯიბრებას ჰქონდა ერთი საერთო ნაკლი — სხვადასხვა მიზეზის გამო მასში არ მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკას წამყვანი ოსტატები.

სულ ახლახან თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა დედაქალაქის 1978 წლის პირად-გუნდური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება გახლდათ, სარბიელზე კვლავ ვერ ვიხილეთ რესპუბლიკისა და დედაქალაქის მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები ი. გაბაშვილი, მ. მორბედაძე, მ. ხალილოვა და ი. ჟემჩუჟინა.

განვლილი ასპარეზობის შესახებ გვიამბობს შეჯიბრების მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი თ. ზურაბიშვილი:

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩემპიონატში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, „სპარტაკის“, ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდებთან ერთად გამოდიოდა აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი მ. გეგელია) ორი გუნდი — I და II ნაკრები. უდავოდ ყველაზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ამ ჩინებული სპორტული კერის პირველმა ნაკრებმა, რომელმაც დედაქალაქის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საერთო-გუნდურ ჩათვლაში. II საპრიზო ადგილი მოიპოვეს სპარტაკელმა ტანმოვარჯიშეებმა, III — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა.

როგორც მოსალოდნელი იყო პირად პირველობაში I ადგილი ლალი დოლიძემ (უნივერსიტეტი) დაისაკუთრა. მრავალჭიდში მან 46,3 ქულა მოაგროვა. „სპარტაკის“ წარმომადგენელს, სპორტის ოსტატ ბელა სისაურს (45,6 ქულა) წილად ხვდა II ადგილი. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ III საპრიზო ადგილს დაეუფლა ახალგაზრდა მზარდი სპორტსმენი ქეთინო კუჭავა (აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლა), რომელმაც 45,4 ქულა მოაგროვა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივს აღემატება.

სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზე გოგონებში ტოლი არ ჰყავდა ვ. განჩუკოვას. მომდევნო საპრიზო ადგილები ხვდათ ე. ჯაყელსა და მ. რატიანს (ყველა — აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლა). პირველთანრიგოსან გოგონათა შეჯიბრებაზე საუკეთესო იყო ე. სმოლენცოვა (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე).

შეჯიბრება, რომელმაც დაადასტურა ახალგაზრდა სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, კარგად იყო ორგანიზებული. 24-27 აპრილს გორში გაიმართება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა.

**ზ. ქორიძე.**

## ფრენბურთი

**სვერდლოვსკში** — გრძელდება ფრენბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი, მაგრამ მის დამთავრებამდე ჩემპიონობა გაინაღდეს ადგილობრივი „ურალოჩკის“ სპორტსმენებმა. მათ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მეორე ადგილზე მყოფი ვოროშილოვგრადის „ისკრა“, 24 ქულა დააგროვეს და მიუწვდომელნი გახდნენ მეტოქეთათვის. სვერდლოვსკელებმა, რომლებსაც ხუთი სეზონის წინ ჰქონდათ დებიუტი უმაღლეს ლიგაში, უკვე ჩემპიონობას მიაღწიეს.

# ტელეტაიპის ლენტიდან

**ლონდონი.** ინგლისის ბადმინტონისტთა ნაკრებმა ორი წლის შესვენების შემდეგ დაიბრუნა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ქალაქ პრესტონში გამართულ გუნდური ტურნირის ფინალში ინგლისელებმა დაამარცხეს შარშანდელ პირველობაში გამარჯვებულები — დანიელი სპორტსმენები — 3:2. სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (1:4) წააგო გფრ-ისა და შოტლანდიის ნაკრებთან, VII-VIII ადგილებისთვის იბრძოლებს.

**ნიუ იორკი.** ძალოსნობაში 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის ჩატარებაზე ახლახან უარი თქვა ირანის ეროვნულმა ფედერაციამ, გაიმართება ამერიკის ქალაქ გეტისბერგის კოლეჯის სპორტულ დარბაზში 4-8 ოქტომბერს. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ ამ ასპარეზობაში 40 ქვეყნის 200-ზე მეტი ძალოსანი გამოვა.



ამ დღეებში მოსკოვში, კრასნაია პრესნიაზე, საერთაშორისო ვაჭრობისა და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების ცენტრში მდებარე ახალ პავილიონში გაიხსნა სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის სპეციალიზებული გამოფენა „სპორტი-78“. აქ წარმოდგენილია 20-ზე მეტი ქვეყნის პროდუქცია.

სურათზე: გამოფენის დარბაზებში.

ა. იუდიჩევის ფოტო.

## სროლა

**კიევში** დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. როგორც ცნობილია, შარშანდელ ამგვარ ტურნირში მრგვალ სტენდზე ასპარეზობა საქართველოს გუნდმა მოიგო და შინ ძვირფასი ნადავლით დაბრუნდა. ამჯერად წარმატება წილად ხვდა რსფსრ-ს ნაკრებს, რომელმაც 706 ქულა მოაგროვა. ადგილიდან სროლაში ძლიერესი იყო უკრაინის კოლექტივი — 666.

პირად პირველობაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მრგვალ სტენდზე ასპარეზობაში — ვაჟთა შორის — მოსკოველი ა. სოკოლოვი, ქალთა შორის — როსტოველი ლ. გურვიჩი. მათი შედეგებია 197 და 180 ქულა შესაბამისად.

ადგილიდან სროლაში ძლიერესნი გახლდათ ლენინგრადელი ა. ანდროშკინი — 187 ქულა და ვორონეჟელი ვალენტინა სერგეტი — 170.

## ჭადრაკი

### ლიდერობს პოლუგაევსკი

ლონ პაინის (აშშ) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში დიდი აღმავლობით თამაშობს საბჭოთა დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი. VII ტურში იგი დაუზავდა ბ. ლარსენს (დანია) და 6 ქულით ლიდერობს. დანიელმა დიდოსტატმა 5,5 ქულა დააგროვა.

5 ქულა აქვს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანს (სსრ კავშირი). სათამაშო დარჩა ორი ტური.

### დაწინაურდნენ ბალაშოვი და ვაჰანიანი

ლვოვში, ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად და V ტური.

ორი პარტია დაამთავრა სსრ კავშირის ჩემპიონმა ბ. გულკომ. იგი დაუზავდა ა. ბელიავსკის, ხოლო ე. გელერთან გამარჯვებას მიაღწია. რ. ვაჰანიანმა ადვილად მოუგო ე. სვეშნიკოვს. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ვ. ცეშკოვსკი დამარცხდა ვ. სმისლოვთან. დაზავდნენ ვ. ტუკმაკოვი და ა. კოჩიევი.

V ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ი. ბალაშოვმა სძლია ო. რომანიშინს, ვაჰანიანმა — გულკოს და გ. კუზმინმა — გელერს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბალაშოვი, ვაჰანიანი (3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია) და ვ. სმისლოვი — 2,5 (1).

### ყაიმი შეუპოვარი დაცვით

**სოჭი,** 12 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობის საბჭოთა ოსტატთა შესარჩევ მატჩ-ტურნირში გუშინ IV ტურის შეხვედრები გაიმართა.

ზ. აზმაიფარაშვილი შეხვდა ევროპის ჭაბუკთა პირველობის მეორე პრიზიორს ს. დოლმატოვს (მოსკოვი). თავიდან მოსკოველმა ოსტატმა უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ აზმაიფარაშვილმა ენდშპილში გონებამახვილურად ითამაშა და ყაიმს მიაღწია.

დაზავდნენ ლ. ეოლიანი (ერევანი) — ზ. ლანკა (რიგა) და ლ. იურტაევი (ფრუნზე) — ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი). გადაიდო ა. ხარიტონოვ (ივანოვო) — ბ. ტაბოროვის (კიევი) პარტია.

4 ტურის შემდეგ ზ. აზმაიფარაშვილს 2,5 ქულა აქვს, ლ. იურტაევს, ა. ხარიტონოვს — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია.

**ა. ბუსლაევი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# ითამაშებს თუ არა ბობი ორი?

**„კიდევ** ერთხელ ვცდი ყინულზე დაბრუნებას“ — განუცხადა იუპ-ის სააგენტოს კორესპონდენტს კანადის ჰოკეის ეროვნული ლიგის ცნობილმა მცველმა ბობი ორმა.

ეს არის ის ბობი ორი, რომელიც ზედიზედ რვაჯერ აღიარეს ლიგის საუკეთესო მცველად და ორჯერ („გოლი + პასის“ სისტემით) საუკეთესო თავდამსხმელად. ორის სახელთანაა დაკავშირებული „ბოსტონ ბრიუინზის“ მიღწევები.

მაგრამ მუხლის სახსრის ქრონიკული ტრავმის (ბობიმ 6 რთული ოპერაცია გადაიტანა) გამო ბოლო სამ სეზონში გამოჩენილმა ჰოკეისტმა მხოლოდ 30 მატჩში ითამაშა, ამასთან ბოლო — 1977 წლის 22 იანვარს „ვანკუვერ კანუკსის“ წინააღმდეგ.

როცა ტრავმის გამო ორის გამოსვლები „იშვიათობად“ იქცა, მან 1976 წელს ხელი მოაწერა კონტრაქტს „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსთან.“

ამჟამად „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსის“ უფროსი მწვრთნელის ბობ პულფორდის ასისტენტი ბობ ორი იანვრის შუა რიცხვებიდან გამოდის ხოლმე ყინულზე და ყოველდღიურად ატარებს მუხლის სახსრის გამამაგრებელი სპეციალური ვარჯიშების სერიას.

ახლა ყველაფერი უკან დარჩა და ბობი ორს ერთი სული აქვს ჩქარა ჩადგეს „მწყობრში“.

„გავზრდი საწვრთნელ დატვირთვას, და თუ მუხლი გაუძლებს, ექიმების წინაშე სერიოზულად დავსვამ საკითხს მომავალ სეზონში სარბიელზე გამოსვლის შესახებ“, — ხაზგასმით ამბობს ცნობილი სპორტსმენი.

ჯერჯერობით მართლაცდა სახელგანთქმული სპორტსმენი მთლიანად გატაცებულია „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსში“ მუშაობით. იგი დიდად ეხმარება უფროს მწვრთნელს ახალგაზრდა მოთამაშეების აღზრდაში. ბობისათვის ახალი სამუშაო იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ, როგორც თვითონ ამბობს, „...იგი აახლოვებს მას ჰოკეისთან“, ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

ბობი ორი ბევრს მოგზაურობს. იყო ევროპაშიც. ორმა განაცხადა, რომ მას მოსწონს ევროპელების მიერ შემოთავაზებული მაღალტექნიკური ჰოკეი. იგი „ბინძური“ თამაშის მოწინააღმდეგეა. სხვამ თუ არა, მან კარგად იცის ასეთი თამაშის შედეგები. სწორედ თანამემამულეთა უხეში ილეთების წყალობითაა, რომ ორი, რომელსაც ამ დღეებში 30 წელი შეუსრულდა, დიდი ტალანტის მიუხედავად პრაქტიკულად „ჰოკეის მიღმა“ დარჩა. (საკდესი).



## „მოსკოვი-80“-ის ემბლემით

**გამოვიდა** მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 6 საფოსტო მარკისგან შემდგარი ახალი სერია.

სურათზე: ახალი მარკა, რომელზედაც კანოისტია აღბეჭდილი.

# საერთაშორისო ოლიმპიური ლატარია

11 აპრილს ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ 15 აპრილიდან დაიწყება „საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ ლატარიის პირველი ტირაჟის ბარათების გაყიდვა. ეს ლატარია გათამაშდება სსრ კავშირში, ბულგარეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. ოლიმპიურ თამაშებამდე მონაწილე ქვეყნების დედაქალაქებში სულ 8 ტირაჟი მოეწყობა (პირველი — 19 ივლისს მოსკოვში). ლატარიის ყოველი ტირაჟი, რომელშიც უნდა გამოიცნონ 49-დან 6 ნომერი, გადაიცემა „ინტერვიზიით“.

„საერთაშორისო ოლიმპიური სპორტლოტოს“ ბარათების გაყიდვიდან შემოსული თანხის 50 პროცენტი მოგებების განაღდებას მოხმარდება. ამჯერად შეიძლება მოიგოთ თანხა 3-დან 10.000 მანეთამდე, აგრეთვე, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ტურისტული საგზური ზოგიერთ შეჯიბრებაზე დასწრების უფლებით (საკდესი).

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მეთოთხმეტე ტირაჟისა, რომელიც 8 აპრილს მოსკოვში გაიმართა.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 219, სამისთვის — 6.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 165, სამისთვის — 6.

მოგებული თანხა გაიცემა 19 აპრილიდან 19 მაისის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეთხუთმეტე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 7 (ბიატლონი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 35 (სპიდვეი), 46 (ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა 10 (საბუერო სპორტი).

„სპორტლოტო-2“: 7 (ბიატლონი), 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 18 (რიკაობა), 43 (ფარიკაობა), 45(ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა, 32 (წყალში ხტომა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02043